

## გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ნოვა ფიქსის“ მიერ პლასტიკური მასალის წარმოებისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ნარჩენების აღდგენის და პლასტიკური მასალის წარმოება

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „ნოვა ფიქსი“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. თბილისი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

**დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:**

- 2024 წლის 13 სექტემბერი, 12:00 საათი, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობა (მის: დ. გურამიშვილის გამზ. N25რ)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: [eia@mepa.gov.ge](mailto:eia@mepa.gov.ge) (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: [ph@eiec.gov.ge](mailto:ph@eiec.gov.ge), მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2024 წლის**



სსიპ გარემოსდაცვითი  
ინფორმაცია და  
განათლების ცენტრი



გარემოს ეროვნული  
სააგენტო

**29 ივლისს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:  
<https://ei.gov.ge/ka/info/01b7a8ca-e292-4842-ad87-d57958017044>